სამცხე–ჯავახეთის მცენარეული ასოციაციებსა და ცხოველთა სამყაროს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული კომფლიქტები და მათი მოგვარების გზები

<u>რობერტ მაღლაკელიძე</u>, მანანა შარაშენძე

ელ.ფოსტა: robert.maghlakelidze@tsu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

სამცხე–ჯავახეთში ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული კონფლიქტები ბუნებრივი, ანთროპოგენული და სამართლებრივი ხასიათისაა. მათგან ცოცხალ სამყაროზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება და ფიზიკური დეგრადაცია შეინიშნება.

ბუნებრივ კონფლიქტებიდან აღსანიშნავია, მავნებლებისაგან მუქწიწვიანების დაავადება. მუქწიწვიანების ბუნებრივ ეკოლოგიური ვითარების შენარჩუნება მათი დაცვის უპირველესი საშუალებაა. სამცხეში, მდინარე ძინძეს ხეობაში უნიკალურ განამარხებულ ფლორას დიდ ზიანს აყენებს ბუნებრივ–ექსტერემალური პროცესები. იგი დაცვის ქმედით ღონისძიებას საჭიროებს. კარწახის მიდამოებში სუბალპური რელიქტური ტყე ექსტრემალურ გარემოში ვითარდება. იგი ჯავახეთის რეგიონისათვის უდიდესი კონსერვაციული მნიშვნელობსაა. ჯავახეთის ტბების ექსტრემალური კლიმატური პირობები, ხშირად ხელს უშლის ფრინველებს მიგრაციისას საკვების მოპოვებაში. ანტროპოგენული კონფლიქტებიდან აღსანიშნავია ჯავახეთის პლატოზე მეორადი ფიჭვის ტყეების შემცირება. კარწახის ტბის მიდამოებში რელიქტური ტყის კორომზე გარკვეული ზემოქმედება, ძინძეს ხეობის განამარხებულიფლორის ძარცვა ადამიანის მიერ. მთის მდელოების დეგრადაცია გადამეტძოვებისაგან. სამართლებრივი კონფლიქტები სამცხე–ჯავახეთში უკავშირდება გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა სრულ ან ნაწილობრივ იგნორირებას. ისინი მეტწილად ვერ არეგულირებენ მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების შენარჩუნება დაცვას.